თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №11

თბილისი,

6 ნოემბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კონსტანტინე ბასილაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ევროატლანტიკური ვექტორი“ – ლაშა ბრეგვაძე;
- „სოციალური სამართლიანობისათვის“ – მამუკა ტუსკაძე, შორენა ახალაია, გიორგი შერვაშიძე, რომან ალთუნაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) – ელენე კალანდაძე;
- „სამართლიანობის განვითარების ინსტიტუტი“ – არჩილ სოფრომაძე;
- „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;
- „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:03 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე

დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. უწყებათაშორისი კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ნინო ცაციაშვილს. ქალბატონმა ნინომ წარმოადგინა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არჩევნების დღეს გაწეული ძალისხმევის შესახებ. როგორც მან განაცხადა, 31 ოქტომბრიდან მოყოლებული, საერთო ჯამში, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 22 საქმეზე; ხდება გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება და იქ, სადაც შეიკრიბა ბრალდებისათვის საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, კონკრეტული პირების მიმართ დაწყებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ სხდომის მონაწილეთ გააცნო მასალები 31 ოქტომბრიდან მოყოლებულ სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომელთა შესახებ ინფორმაციაც გავრცელდა მედიასაშუალებებით და რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეწოდა უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოდან.

ქალბატონი ნინოს მიერ სხდომაზე გახმიანებული მონაცემების თანახმად, 2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ზვიად კუპრავას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს, დაახლოებით, 08:00 საათზე, ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონში, №213 ბაგა-ბაღში განთავსებულ №40 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კახა ხაჩიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტ ზვიად კუპრავას, კერძოდ, ორივე ხელის მუშტი დაარტყა გულმკერდის არეში, რა დროსაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არიან მოწმეები, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 31 ოქტომბერს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სოფელ დაშტაფაში №52 საარჩევნო უბანში ფიზიკური ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

2020 წლის 31 ოქტომბერს „პირველი არხის“ საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშტაფაში მდებარე №52 საარჩევნო უბანზე მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, კერძოდ, სოფელ დაშტაფაში მცხოვრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებელმა ნიაზი გულიევმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თანასოფლელს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ელვინ გასუმოვს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ტარდება საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლაშა ქველაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების დაწყებისთანავე საქმის მწარმოებელი გამომძიებელი დაუკავშირდა შეტყობინების ინიციატორს გამოკითხვის მიზნით, თუმცა, ლაშა ქველაძემ უარი განაცხადა საგამოძიებო ორგანოში მისვლაზე. მანვე განმარტა, რომ მიმდინარე არჩევნების გამო ვერ მოახერხებდა მარნეულის რაიონულ სამმართველოში მისვლას.

ინციდენტში მონაწილე პირების საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებისა და გამოკითხვის შემდეგ მიღებული იქნება კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს ქ. ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ირაკლი კიკვაძის მიმართ

განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №13-ში მდებარე №20 საჯარო სკოლაში განთავსებულ №37 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პარტია „ლეიბორისტების" ქუთაისის მერობის კანდიდატ ირაკლი კიკვაძეს გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არიან მოწმეები, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 31 ოქტომბერს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მე-8 სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე გვანცა დიუნაშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 126-ე მუხლის 1-ლი' ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

2020 წლის 31 ოქტომბერს „ნიუ პოსტის" ჟურნალისტმა გვანცა დიუნაშვილმა მიმართა პოლიციას და განაცხადა, რომ ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-4 მკრნ მე-2 რიგში მდებარე №176 საჯარო სკოლაში განთავსებულ №39 და №40 სარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

გვანცა დიუნაშვილს დაუკავშირდა გამომძიებელი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებისა და მისი გამოკითხვის მიზნით, რაზეც მოწმემ განაცხადა უარი და დააფიქსირა, რომ გამოცხადდებოდა მისთვის სასურველ დროს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ტარდება საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება ზაქარია გალუსტაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36-ში განთავსებულ №78 საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების" დამკვირვებელმა ზაქარია გალუსტაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ მარინა დათუკაშვილსა და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის"

წარმომადგენელ თამარ კალანდაძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზაქარია გალუსტაშვილს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არიან მოწმეები, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პირველ სამმართველოში დაიწყო გამოძიება მინდია გაბაძის კუთვნილი მობილური ტელეფონის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გრძელდება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

გამოძიებით დადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს, დაახლოებით, 15:21 საათზე, ქ. თბილისში, გლდანის პირველ მიკრორაიონში, ბოჭორიშვილის ქუჩა №57-ში მდებარე №39 საჯარო სკოლაში განთავსებული საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, „დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფის“ ჟურნალისტ მინდია გაბაძეს (ონლაინგამოცემა „პუბლიკა“), რომელიც თავისი კუთვნილი „სამსუნგის“ ფირმის „გალაქსი A8+“-ის მოდელის მობილური ტელეფონის გამოყენებით ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას (არჩევნების მიმდინარეობის ვიდეოჩაწერას), ოთარ გასანოვმა ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფეხის დარტყმით ხელიდან გააგდებინა აღნიშნული მობილური ტელეფონი, რის შედეგადაც მინდია გაბაძემ განიცადა ფიზიკური ტკივილი და ხელი შეეშალა პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა ოთარ გასანოვი და წარედგინა ბრალი სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით.

ამავე საქმის ფარგლებში, ტელეკომპანია, „ტვ პირველის“ ჟურნალისტ ანა ახალაიას მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, მოწმის სახით გამოიკითხა ანა ახალაია, რომელმაც განმარტა, რომ საარჩევნო უბანზე გადაადგილებისას მას შემთხვევით სახის არეში მოხვდა თავისივე ოპერატორის კამერა, რის შედეგადაც მიიღო დაზიანება. მანვე გამოკითხვისას განაცხადა, რომ ეს ფაქტი იყო შემთხვევითი და მას, როგორც ჟურნალისტს, პროფესიულ საქმიანობაში ხელი არ შეშლია. საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება კენჭისყრის შენობაში არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების პროფესიული კავშირის“ დამკვირვებელ ალექსანდრე ცხადაიას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ სენაკში, №16 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების პროფესიული კავშირის“ დამკვირვებელ ალექსანდრე ცხადაიას ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გამოძიებით დაუდგენელ უცნობმა მამაკაცმა.

საქმეზე იკითხებიან მოწმეები; დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა.

2020 წლის 31 ოქტომბერს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში, კ. გამსახურდიას პირველ შესახვევში მდებარე №80 საარჩევნო უბნის წინ ტერიტორიაზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებელ ელდარ კეზუას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გამოძიებისათვის ამ ეტაპზე დაუდგენელმა პირმა.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ტარდება საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

2020 წლის 31 ოქტომბერს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება საარჩევნო უბანზე დამკვირვებელ ვერონიკა ჭკადუას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. რუსთავის №16 საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებელ ვერონიკა ჭკადუას იქ მყოფმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა რამდენიმე ქალბატონმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგან ვერონიკა ჭკადუა ინტერესდებოდა უბანზე მათი საქმიანობით.

მოწმის სახით გამოკითხვისას ვერონიკა ჭკადუამ უარყო ფიზიკური შეურაცხყოფის ან სხვა რაიმე ძალადობის ფაქტი.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არიან მოწმეები, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება ოთარ რაჭველიშვილსა და ვლადიმერ ცომაიას მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ნივთის განზრახ დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს, დაახლოებით, 08:00 საათზე, ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა №16ა-ში მდებარე №90 საარჩევნო უბანზე, მედიაცენტრ „ღია აფხაზეთის" წარმომადგენელმა ლინა დოლიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „თავისუფალი დემოკრატების" წევრებს – ოთარ რაჭველიშვილსა და ვლადიმერ ცომაიას, ხოლო ამ უკანასკნელს ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად დაუზიანა მისი კუთვნილი „iphone 6"-ის ფირმის მობილური ტელეფონი.

საქმეზე გამოკითხული არიან მოწმეები, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზები, ამოღებულია ვლადიმერ ცომაიას კუთვნილი მობილური ტელეფონი.

2020 წლის 05 ნოემბერს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს II სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შალვა კუჭაშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 126-ე მუხლის 1-ლი' ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

დადგენილია, რომ 2020 წლის 04 ნოემბერს, ღამის საათებში, შალვა კუჭაშვილი და მისი მეგობარი ლიკა გამრეკელი მივიდნენ გლდანის მასივში მდებარე საოლქო კომისიის შენობასთან, სადაც მათ ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საქმეზე გამოიკითხნენ მხოლოდ შალვა კუჭაშვილი და ლიკა გამრეკელი, რომელთაც განმარტეს, რომ საოლქო კომისიასთან აქციაზე მისულებმა, მათ მოუწოდეს ოპოზიციის წარმომადგენლებს, შეეწყვიტათ დესტრუქციული ქმედებები და მუშაობის საშუალება მიეცათ კომისიის წევრებისთვის. გაღიზიანებულმა აქციის მონაწილეებმა შალვა კუჭაშვილს და ლიკა გამრეკელს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 04 ნოემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რაშად მუსაევის მიერ სავალან

მირზოევის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, 2020 წლის 03 ნოემბერს „ლელოს“ აქტივისტმა რაშად მუსაევმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ატვირთა ვიდეო, რომლის მიხედვითაც, „ქართული ოცნების“ წევრს, გარდაბნის მაჟორიტარ დეპუტატ სავალან მირზოევს, ემუქრებოდა მოკვლით.

საქმეზე გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა ვიდეოჩანაწერი; გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 04 ნოემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სავალან მირზოევის მიერ რაშად მუსაევის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2020 წლის 03 ნოემბერს რაშად მუსაევმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წევრი, გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი სავალან მირზოევი, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრება.

მოწმის სახით გამოკითხვისის რაშად მუსაევმა განაცხადა, რომ მას პირადად სავალან მირზოევი არ დამუქრებია და ამ უკანასკნელის მიერ ნათქვამი ფრაზა („ოპოზიციას გაგყრით ძაღლებივით“) აღიქვა მუქარად; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 04 ნოემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვა/ტარების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და ამავე კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ამ ეტაპისათვის დგინდება, რომ 2020 წლის 04 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ შტაბის წინ (ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №11) ავტომანქანით მოძრაობის დროს, დაუდგენელი პირის მიერ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა.

საქმეზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, გამოიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 01 ნოემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ორხან ალიევის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ორხან ალიევის შეტყობინების თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაპალის მიმდებარედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ჩირაგოვი ემუქრება მას „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემის გამო. საქმეზე გამოკითხულმა ჩირაგოვმა მიუთითა ორხან ალიევის მიერ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე.

გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, დანიშნულია კომპლექსური ტრასოლოგიური, მიკრონაწილაკური და ბიოლოგიური, ასევე, სამედიცინო ექსპერტიზა; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 04 ნოემბერს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვა/ტარებისა და სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა და ამავე კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 01 ნოემბერს, დახლოებით, 13:00 საათზე, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ბონდო ოქრიაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ფეხის არეში ორი გამჭოლი ჭრილობა მიაყენა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (თავისივე ნათესავი) მერაბ ოქრიაშვილს.

დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, გამოიკითხნენ მოწმეები, დანიშნულია ბალისტიკური, ბიოლოგიური, სამედიცინო ექსპერტიზები.

2020 წლის 04 ნოემბერს ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა ბონდო ოქრიაშვილი, რომელსაც წარედგინა ბრალდება სსკ 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 05 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2020 წლის 4 ნოემბერს, საღამოს საათებში, ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №27-ში მდებარე სილამაზის სალონ „ალექსის“ მიმდებარედ არსებულ №79 საარჩევნო საოლქო ადმინისტრაციასთან გამართული საპროტესტო აქციის დროს ხალხის მასის ზემოქმედებით

ჩაიმტვრა ზემომითითებული სალონის შემინული კედელი და კარები, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

საქმეზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, გამოიკითხნენ მოწმეები; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 01 ნოემბერს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2020 წლის 01 ნოემბერს დაუდგენელი პირის მიერ დაზიანებულ იქნა ქალაქ ოზურგეთში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული საარჩევნო ბანერი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნინო შეწირული-გობრონიძის („ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსი“) გამოსახულებით (8x3 მ).

საქმეზე გამოიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა ტრასოლოგიური და სასაქონლო ექსპერტიზა; გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 01 ნოემბერს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 04 ნოემბერს, ქ. თბილისში, კალოუბნის ქუჩა №18-ში მდებარე სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან მიმდინარე დემონსტრაციის მსვლელობისას, ოპოზიციურად განწყობილი ხალხის მასის მიერ დაზიანდა აღნიშნული შენობის მეტალოპლასტმასის ორი ფანჯარა, რომელთაგან ერთის ჩარჩოს აღენიშნება დეფორმაცია, ხოლო მეორეს მოტეხილი აქვს სახელური.

საქმეზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, გამოიკითხა ფართის მფლობელი; საქმეზე გრძელდება გამოძიება.

2020 წლის 04 ნოემბერს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დგინდება, რომ 2020 წლის 4 ნოემბერს, დაახლოებით, 21:00 საათზე, თბილისში, თელავის ქუჩა №7-ში მდებარე ისნის №5 საოლქო საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ შენობაში სამუშაო

პროცესის მიმდინარეობისას, ხმამაღალი შეძახილებითა და სტვენით შეიჭრნენ ოპოზიციურად განწყობილი პირები, რომლებიც კომისიის წევრებს არ აძლევდნენ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას. აქტივისტებმა მოწოდებაზე – დაეტოვებინათ შენობა, უარი განაცხადეს, რაც მხარეებს შორის შეხლა-შემოხლითა და ერთმანეთისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით დასრულდა.

ოპოზიციურად განწყობილი თამაზ მაჭარაშვილის განცხადებით, ამ დროს მას მუცლის არეში დაარტყეს ფეხი, ასევე, მეორედ, გარეთ გასვლისას დაარტყეს ხელი. აღნიშნული ქმედებების შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიღებული დაზიანებებით გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში.

ასევე, ისნის №5 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე ზაალ ზაალიშვილმა (რომელიც მოუწოდებდა წესრიგის დაცვისა და შენობის დატოვებისკენ) აქტივისტ ვაჟა ცეცხლაძის მიერ შუბლის არეში თავის ჩარტყმის შედეგად განიცადა ტკივილი.

საქმეზე აქტიურად გრძელდება გამოძიება, იკითხებიან ფაქტის შემსწრე მოწმეები. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ამოწურვის შემდეგ მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

2020 წლის 04 ნოემბერს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დგინდება, რომ 2020 წლის 04 ნოემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურში ამავე სოფლის მკვიდრმა, ,,ქართული ოცნების" კოორდინატორმა, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ჯაბა საყვარელიძემ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეზობლად მცხოვრებ შშმ პირს შაქრო ხვედელიძეს მისი ოჯახის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" ხმის მიცემის მოტივით. შაქრო ხვედელიძის დედამ (ვარდო ხვედელიძემ) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჯაბა საყვარელიძეს, რის საპასუხოდაც ამ უკანასკნელმა ფიზიკური შეუარცხყოფა მიაყენა ვარდო ხვედელიძეს, რის შედეგადაც ორივე მათგანმა განიცადა ფიზიკური ტკივილი, თუმცა, სხეულზე რაიმე სახის დაზიანებები არ მიუღიათ.

საქმეზე გამოიკითხნენ მოწმეები; გრძელდება გამოძიება.

ქალბატონმა ნინო ცაციშვილმა, ასევე, წარმოადგინა ინფორმაცია არჩევნების დღეს მომხდარ ისეთ ინციდენტებთან დაკავშირებით, სადაც არ შეინიშნებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები; კერძოდ, 2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. ბათუმში,

გალაკტიონის ქ. №13-ში განთავსებული საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის დაკავებულ იქნენ გოდერძი გორგილაძე და გიორგი გოგიჩაიშვილი, რომლებიც შემდგომში გათავისუფლედნენ ხელწერილის საფუძველზე.

2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე №6 საჯარო სკოლის შენობაში განთავსებული №66 საარჩევნო უბნის გარე მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა „ქართული ოცნების" მხარდამჭერ ზაზა ზარანდიასა და „ევროპული საქართველოს" მხარდამჭერების – მარიკა საბეკიასა და ნანა ნარსიას – შორის შელაპარაკებისა და ურთიერთშეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

სიტუაცია განმუხტულ იქნა ადგილზე პოლიციის თანამშრომლის მიერ წესრიგისკენ მოწოდების შედეგად.

მოცემულ ფაქტზე დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ასკ 166-ე მუხლით.

2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში, ლაღიძის ქუჩა №1-ში განთავსებულ №10 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქე ტანია ცობეხია ტელეფონით იღებდა უბნის გარეთ მიმდინარე სიტუაციას, რაზეც ამ ფაქტით მასზე გაბრაზებულმა იქ მყოფთაგან ერთ-ერთმა (ამ ეტაპზე დაუდგენელი) მამაკაცმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა – დაემუქრა მას ტელეფონის დამტვრევით, თუმცა, ტანია ცობეხია არ შეუშინდა მუქარას და გამოიძახა პოლიცია. პოლიციაში ზარის განხორციელების შემდეგ მამაკაცი გაერიდა ტერიტორიას.

მოცემულ ფაქტზე დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ასკ 166-ე მუხლით.

2020 წლის 31 ოქტომბერს ქ. თბილისში, გლდანის პირველ მიკრორაიონში მდებარე №35 ბაგა-ბაღში განთავსებულ №84 საარჩევნო უბანზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ ირაკლი ეძგვერაძეს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა დავით კვიჟინაძესა და ლაშა ზურაბიშვილთან, რა დროსაც აღნიშნულმა პირებმა ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

პოლიციის მიერ ადგილზევე მყისიერად განიმუხტა სიტუაცია და სამართალდარღვევის ფაქტზე დაკავებულ იქნენ ირაკლი ეძგვერაძე, დავით კვიჟინაძე და ლაშა ზურაბიშვილი (ეს პირები იმავე დღეს გათავისუფლდნენ ხელწერილის საფუძველზე).

2020 წლის 31 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის ადმინისტრაციულ ცენტრში, №45 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ემირ ჭაფანაძემ იქ მყოფი მოქალაქეების თანდასწრებით რამდენიმეჯერ გაისროლა სასიგნალო პისტოლეტიდან. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდა ემირ ჭაფანაძის ადმინისტრაციული წესით დაკავება. სამართალდამრღვევი სასამართლოს მიერ დაჯარიმდა 700 ლარით.

2020 წლის 31 ოქტომბერს, ქ. თბილისში, გლდანის რაიონის №39 საჯარო სკოლის №80 საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზე, წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე მოხდა გიორგი წიკლაურის, სერგო წულიაშვილისა და მურაზ მახმუდოვის ადმინისტრაციული წესით დაკავება, რომლებიც არღვევდნენ წესრიგს და ადგილზე მყოფ მოქალაქეებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. დასახელებული პირები იმავე დღეს გათავისუფლდნენ ხელწერილის საფუძველზე.

იმავე მისამართზე მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტზე (ასკ 166 მუხლი) გამოვლენილ იქნნენ ვალოდია მანუკიანი და ერიკ კალაშოვი. მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2020 წლის 31 ოქტომბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზქენდის №14 საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა სააგენტო „on ge"-ს ჟურნალისტი დარინა ქამადაძე, რომელსაც შელაპარაკება მოუვიდა უბნის დამკვირვებელ ამილ ნაგიევთან.

არსებული ინფორმაციით, დამკვირვებელ ამილ ნაგიევს მიმაგრებული ჰქონდა „ევროპული საქართველოს" ბეიჯი, თუმცა, რეალურად „ქართულ ოცნებას" წარმოადგენდა.

ამილ ნაგიევი ჟურნალისტს ხელს უშლიდა გადაღებაში (ტელეფონზე მიურტყა ხელი; უთხრა, წასულიყო უბნიდან; სავარაუდოდ, შეაგინა აზერბაიჯანულად).

ასევე, დარინა ქამადაძემ განაცხადა, რომ შეამჩნია თითქოს ამილ ნაგიევს საქამრეში ჰქონდა იარაღი (თუმცა, საქამრეში აღმოჩნდა მობილური ტელეფონი).

მარნეულის რაიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირი დაუკავშირდა დარინა ქამადაძეს, რომელმაც უარი განაცხადა პოლიციაში გამოცხადებაზე, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. ამ ეტაპამდე დარინა ქამადაძე საგამოძიებო ორგანოში არ გამოცხადებულა.

სიტყვის დასასრულ, ქალბატონმა ნინომ, სხდომაზე დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე, განაცხადა, რომ არჩევნების დანიშვნის დღიდან მოყოლებული, საერთო ჯამში, გამოძიება დაწყებულ იქნა 112 საქმეზე, რომელთაგან 108 განეკუთნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, 4 კი – პროკურატურის კომპეტენციას.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცესკო-ს წარმომადგენელი) სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია არჩევნებამდე და არჩევნების დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მისი თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია იდგა დიდი გამოწვევის წინაშე, რადგან პანდემიის პირობებში უნდა ჩაეტარებინა არჩევნები. ამ მხრივ მათი მხრიდან მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნა სათანადო პირობების შექმნა, რათა ამომრჩეველს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. სამწუხაროდ, ქვეყანაში დღეს არსებულმა გარემოებებმა, რაც, ძირითადად, გამოწვეულია გარკვეულ შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით გამოთქმული უკმაყოფილებით, გადაფარა ძალიან ბევრი პოზიტიური პროცედურა და ქმედება, რაც საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მაღალი სტანდარტით ჩასატარებლად. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ პანდემიის გამო არჩევნების ჩატარებაზე უარი თქმის ფონზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხვადასხვა უწყებასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყო იმ პირთა გარკვეული რაოდენობის არჩევნებში მონაწილეობაც, რომლებიც საკარანტინე ზონებსა და თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ (აღნიშნული საკითხი ბევრმა ქვეყანამ საერთოდ მოუწესრიგებელი დატოვა). ამ მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამატებით შექმნა 127 სპეცუბანი (ე.წ. კოვიდუბანი), რომელსაც ემსახურებოდა 311 გადასატანი საარჩევნო ყუთი. რაც შეეხება ამ მხრივ შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით გახმიანებულ ბრალდებებს (კერძოდ, რომ სპეციალურ სიაში შეყვანილ ადამიანს, ხშირ შემთხვევაში, თუ ის შესაბამისი მაჟორიტარული ოლქის საზღვრებში არ არის რეგისტრირებული, არ აქვს უფლება, ხმა მისცეს იმ კონკრეტული მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატს), აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სპეცსიაში შეყვანილი ამომრჩეველი საგამონაკლისო წესით იღებდა არჩევნებში მონაწილეობას; საარჩევნო კანონმდებლობა მსგავს ანალოგიურ დათქმას აკეთებს სტაციონარში მყოფი პირებისთვის, სამხედრო მოსამსახურეებისთვის, პოლიციური დანაყოფებისთვის და ა.შ. ისევე, როგორც, მაგალითად, ავღანეთში შექმნილი სპეცუბნებისთვის, როდესაც იქ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მხოლოდ პროპორციული კუთხით შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია ის

დისბალანსი, რომელიც წარმოიქმნება ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარების ამომრჩეველთა რაოდენობის კუთხით, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ამომრჩეველს არ ჰქონდა ხმის მიცემის შესაძლებლობა.

მეორე, რაზეც უკმაყოფილებაა გამოხატული, არის შესწორების ოქმები, რის პრაქტიკასაც უკვე ბოლო რამდენიმე წელია, ითვალისწინებს საარჩევნო კანონმდებლობა. ოქმის შევსების დასრულების შემდგომ რაიმე მონაცემის არასწორად შეყვანის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მისთვის შესწორების ოქმის დართვას და იქვე აღნიშვნის გაკეთებას, რომ შესწორებულია, ნაცვლად იმისა, რომ იქვე ოქმში მოხდეს გადასწორება, ვინაიდან ეს უკვე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს შესაბამისი ახსნა-განმარტებების საფუძველზე გარკვეული შესწორების შეტანას; წინა წლების შესწორებების რაოდენობასთან შედარებისას, წლევანდელის შემთხვევაში, ნამდვილად არ აღმოჩნდა ის მაჩვენებელი, რომელიც ბევრად აღემატება გასული წლების რაოდენობას; იგივე შეიძლება ითქვას ბათილი ბიულეტინების რაოდენობაზეც.

არცთუ იშვიათად ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს ცესკო-მ დაგვიანებით გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემები. აღსანიშნავია, რომ კომისიამ შვიდ საათსა და ოცდახუთ წუთში გამოაქვეყნა მონაცემები და იმის გათვალისწინებით, რომ წინა წლებშიც დაახლოებით იმავე დროში ხდებოდა მონაცემების გამოქვეყნება (მაგალითად 2012 წელს 8 საათში გამოქვეყნდა წინასწარი მონაცემები), არასწორია რაიმე დაგვიანებაზე საუბარი; ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, წინა წლებთან შედარებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით საარჩევნო სუბიექტები მონაწილეობდნენ, რამაც გაართულა და გაახანგრძლივა მონაცემების შეყვანისა და გამოქვეყნების პროცესი. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული სავსებით თავსდება იმ სტანდარტსა და არსებულ პრაქტიკაში, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას წლების განმავლობაში აქვს.

დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ გვხვდებოდა პრობლემური ოქმებიც, სადაც მართლაც არასწორი ინფორმაცია იყო ასახული. 5 ნოემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში დასრულდა კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული განცხადება-საჩივრების განხილვა. 6 ნოემბრის დილის მონაცემებით, გადათვლა განხორციელდა, დაახლოებით, 16 საოლქო საარჩევნო კომისიაში; აქედან, 8 გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი ან დაემატა შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს. ასევე, ნახევარ შემთხვევაში მონაცემები გასწორდა და ნახევარ შემთხვევაში მონაცემები დარჩა იგივე, რაც შესაბამის შემაჯამებელ ოქმებში იყო მოცემული; 6 და 7 ნოემბერს დაინტერესებულ პირებს უკვე ჰქონდათ საოლქო საარჩევნო კომისიების

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება შესაბამის რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში.

დასასრულ, ბატონმა გიორგიმ მადლობა გადაუხადა დამკვირვებელ ორგანიზაციებს გაწეული საქმიანობისათვის და ხაზი გაუსვა იმ რთულ პირობებს (ზეწოლისა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით სხდომებზე შეჭრის მცდელობა და სხვა), რომელთა ფონზეც უწევდათ მუშაობა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს. მან წუხილი გამოთქვა იმ მიზანმიმართულ კამპანიაზე, რომელიც ემსახურება საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციას და ზიანს აყენებს არჩევნების სანდოობასა და შედეგებს.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („სოციალური სამართლიანობისათვის“) თავის გამოსვლაში შეაფასა საარჩევნო პროცესი და მოითხოვა საარჩევნო უბნების გადათვლა, რადგან, მისი თქმით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა დარღვევებს.

ბატონმა ლაშა ბრეგვაძემ („ევროატლანტიკური ვექტორი“) შეაფასა საარჩევნო პროცესი და ისაუბრა კენჭისყრის დღეს მომხდარი სხვადასხვა დარღვევის თაობაზე.

მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის)) სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ არჩევნების დღეს საუბნო კომისიებში დაფიქსირდა დარღვევით შედგენილი ბევრი ოქმი. მისი აზრით, არ უნდა იყოს ამ რაოდენობით ხარვეზიანი ოქმი და შემდგომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე ატვირთული.

ბატონმა ნუგზარ მელაძემ („მწვანე დედამიწა“) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ მათი ორგანიზაცია არჩევნების დღეს აკვირდებოდა თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში საარჩევნო პროცესებს. მისი თქმით, მათი დაკვირვების შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიებში მართლაც მრავლად ხდებოდა ოქმებში ჩასწორებები. ასევე, მისი თქმით, ზოგიერთ უბნებზე ადგილი ჰქონდა რეგისტრატორების მხრიდან ბიულეტენების მოხევის დროს უნებლიე ხარვეზს, რაც იწვევდა რიგ შემთხვევებში ბიულეტენების გაბათილებას. როგორც მან განაცხადა, საერთო ჯამში, არჩევნები ჩატარდა სამართლიანად და დემოკრატიულად და არ იზიარებს იმ ოპოზიციური პარტიების აზრს, რომლებსაც არჩევნები მიაჩნიათ გაყალბებულად.

დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე მივიდა დიდი რაოდენობის ამომრჩეველი საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად. მისი მოსაზრებით, ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ამომრჩეველი იყო მოტივირებული და ენდობოდა როგორც ხელისუფლებას, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ბატონმა დანიელმა აღნიშნა, რომ ოპოზიციურ პარტიებსა და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაწერეს კენჭისყრის დღეს საჩივრები შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით, ამ საჩივრების განხილვაზე ან/და დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი საარჩევნო კომისიების მხრიდან. მისი თქმით, საჩივრები იყო უსაფუძვლო და უარი მათ სამართლიანად მიიღეს. ბატონი დანიელის განცხადებით, ზოგიერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ავრცელებს ინფორმაციას, რომ საჩივრების დაწერის საფუძველი გახდა უბნებზე დიდი რაოდენობის დარღვევები, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაციის დაკვირვების შედეგად ეს მონაცემები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ისინი ავრცელებენ.

შემდგომ სიტყვით გამოვიდა ბატონი ვლადიმერ ბოჟაძე („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“). მან დადებითად შეაფასა ცესკო-ს ძალისხმევა პანდემიის პირობებში ჩატარებულ არჩევნებთან დკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნებზე მაღალ დონეზე იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. როგორც ბატონმა ლადომ განაცხადა, ვინაიდან 21 ნოემბერს უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, კომისიის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რომ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებით წინასაარჩევნო პერიოდისთვის საჯარო მოხელეებს კვლავ შეახსენონ მათი უფლება-მოვალეობები.

ბატონმა დავით ლილუაშვილმაც („საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“) დადებითად შეაფასა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული ზომები „კოვიდ-19“-თან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ საარჩევნო უბნებზე მაქსიმალურად იყო დაცული ამომრჩეველთა უსაფრთხოება. სიტყვით გამოსვლისას ბატონმა დავითმა დაგმო ოპოზიციური ძალების მხრიდან განხორციელებული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი ქმედებები. მისი თქმით, საარჩევნო უბნებზე იყო ხარვეზები, თუმცა, ეს არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ არჩევნები არასამართლიანად ჩატარდა.

ქალბატონმა ქეთევან სალაძემ („სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“) სიტყვით გამოსვლისას შეადარა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ბათილი ბიულეტენების რაოდენობა წინა საპარლამენტო არჩევნებზე არსებულ

მდგომარეობასთან. მისი თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს დაფიქსირდა ბათილი ბიულეტენების 146192, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს რიცხვი იყო 137589, რაც შეეხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, დაფიქსირდა 130325 ბათილი ბიულეტენი. მისი თქმით, 2016 წელს ცესკო-ში რეგისტრირებული იყო 23, ხოლო 2020 წელს – 52 საარჩევნო სუბიექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ, 2012 წელთან შედარებით, არის 6,25 პროცენტით გაზრდილი ბათილი ბიუეტენების რაოდენობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მდგომარეობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა განახორციელონ საოლქო საარჩევნო კომისიებზე ზეწოლა.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“) აღნიშნა, რომ 31 ოქტომბერს მათი ორგანიზაციის დაკვირვების შედეგად საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების მხრიდან დაშვებული იყო შეცდომები, თუმცა, ამის მიუხედავად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე გარკვეულმა ძალებმა არ უნდა მოახდინონ ზეწოლა.

ქალბატონი შორენა ახალაია („სოციალური სამართლიანობისთვის“) სიტყვით გამოსვლისას შეეხო წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მხრიდან დაფიქსირებულ სავარაუდო დარღვევების ფაქტებს. მისი თქმით, არჩევნების მომდევნო დღიდან დღემდე სენაკში მისი პარტიის წარმომადგენელსა (ბაღების გაერთიანების სპეციალისტი) და პარტიის კოორდინატორებზე ხორციელდება ზეწოლა. როგორც ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, ზეწოლა მომდინარეობს სენაკის მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მხრიდან. მან მიმართა კომისიის წევრ უწყებებს, მოეხდინათ ხსენებულ ფაქტებზე სათანადო რეაგირება.

ქალბატონმა ელენე კალანდაძემ („დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI)) განაცხადა, რომ კენჭისყრის დღეს არაერთ საარჩევნო უბანზე პირადად თვითონ და მისი ორგანიზაციის დამკვირვებლები შეესწრნენ პერსონალური მონაცემების შესაძლო დარღვევის ფაქტებს. მისი თქმით, ამომრჩეველი, რომელიც საარჩევნო უბანზე რეგისტრატორთან პირბადეს იხსნიდა, არჩევნებში ჩართული მხარეები უღებდნენ ფოტოს, რაც, მისი თქმით, არის პერსონალური მონაცემების დაღვევა. მან აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტები მოითხოვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მხრიდან რეაგირებას.

კომისიის თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა სახელმწიფო ინსტიტუციების დემოკრატიის საკითხს. მისი თქმით, ქვეყანაში სახელმწიფო ინსტუტუციების დემოკრატია უმნიშვნელოვანესია, რომელზეც დამოკიდებულია სწორედ სამართლიანი არჩევნები. არჩევნების შედეგებზე უკმაყოფილება უნდა იყოს გამოხატული კანონის ფარგლებში და სწორედ კანონის

თანახმად შესაბამისი პროცედურების გავლით უნდა დადგეს სასურველი შედეგები. ბატონმა გოჩამ უარყოფითად შეაფასა გარკვეული ძალების მხრიდან განხორციელებული ხელისშემშლელი ქმედებები საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე. მან განაცხადა, რომ ასეთი ქმედებების ფონზე ვერ ჩამოყალიბდება ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების პრაქტიკა. თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ეფექტურობაზეც. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ მისი საქმინობის დაწყებიდან დღემდე გასცა ოთხი რეკომენდაცია (საჯარო მოსამსახურეებზე, რესურსცენტრებზე, სკოლებისა და ბაღების პედაგოგებზე). მისივე განცხადებით, ვინაიდან წინ გველის არჩევნების მეორე ტური, მითითებული რეკომენდაციებით უწყებათაშორისი კომისია კვლავ შეახსენებს საჯარო მოსამსახურეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს წინასაარჩევნო პროცესებში მონაწილეობის კუთხით.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 13 ნოემბერი, 11:00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს, ასევე, სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „სოციალური სამართლიანობისთვის“ – რომან ალთუნაშვილი, გიორგი შერვაშიძე;

– „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;

– „ევროტლანტიკური ვექტორი“ – ლაშა ბრეგვაძე.

სხდომა დასრულდა 13:16 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: გ. ტაბლიაშვილი

კომისიის მდივანი: ს. [signature]